ხელშეკრულება №109
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 22 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეგლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს „მიმდემი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ მიქამის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4.„ხელშეკრულ
ების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (გუმბრა, ბანოჯა) მზა-ბეტონის მიწოდება;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (44100000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 28120 (ოცდარვაათასასორმოცი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის საფუძველზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

5.3 მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულმი გამგეგლის წარმომადგენლის ხელმოწერები, აგრეთვე ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: წყალტუბო მუნიციპალიტეტი.

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით (თითოეულ ობიექტზე შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 კალენდარულ დღეში);

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	შპს „მიმდემი"
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25	მის: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი. N57,
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი	ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000	ა/ა №GE12LB0113151108960000
ს/კოდი: 221274546	ს/კოდი:412679061
მუნიციპალიტეტის გამგებელი	შპს „მიმდემი"-ს დირექტორი
კონსტანტინე მამისეიშვილი	ზურაბ მიქაძე

ტორიული ორგანო	სოფელი	სამუშაო	მასალები
გუმბრის თემი	გუმბრა	27000	წყალტუბო- ქუთაისის მაგისტრალიდან შესასვლელი გზის ხიდ ბოგირის და გზის საფარის ბეტონით მოწყობისთვის მზა ბეტონის შეძენა, (192მ^3)
გუმბრის თემი	ბანოჯა	1120	ბარბარე წმინდაზე მისასვლელი გზისთვის 8 მ^3 ბეტონის შეძენა

28120

შ.პ.ს „მიმდენი"

GEORGIA, LTD
412579061